

Ottoman Administration of Batumi (April-December 1918)

ბათუმის ოსმალური ადმინისტრაცია
(1918 წლის აპრილი-დეკემბერი)

Irakli Baramidze

PhD in History, Associate Professor,
Batumi Shota Rustaveli State University
e-mail: erekle1770@hotmail.com,
ORCID: <https://orcid.org/0000-0001-7540-7006>

Mariam Aleksandria

Master in History, Batumi Shota
Rustaveli State University
e-mail: mariam.aleksandria2000@gmail.com

Abstract: In 1918, the territorial integrity of Georgia and the political future of Batumi were again under threat. Guided by the desire for militaristic intentions, the Ottomans took advantage of the difficult internal situation that had developed in the Russian Empire at the final stage of World War I. According to the Brest-Litovsk Peace Treaty, signed under the conditions of the refusal of the Transcaucasian side to participate in the negotiations, the Ottomans made their way into the Batumi region. The Trabzon Peace Conference became a kind of arena for Georgia to turn the situation in favor of the country and sign a fair peace with the Ottomans, although the Ottomans consciously went to restore the borders that existed before 1878 and did not make any compromises. The Ottomans took over Georgian districts (Kars, Artaan, Batumi) by force and in violation of the law, thereby violating the terms of the Brest Armistice, since the agreement did not provide for the direct transfer of the mentioned districts to them.

In April 1918, the era of the Ottoman occupation of Batumi began. An Ottoman administration was formed, which was undisciplined and technically inadequate in its content. The state treasury passed into the hands of the Ottomans. The Ottoman language was declared the state language, and the Ottoman lira came into circulation. Strict control was established over oil products. The rights of city self-government were limited, the streets were renamed. A police regime and a curfew were established in the city, which somehow ensured the maintenance of order in the city.

From a socio-economic point of view, the city found itself in a difficult situation. Batumi lost its function as a port city. During the occupation, the socio-economic situation of the residents worsened, the Batumi port (the main economic artery)

stopped working, factories closed, the unemployment rate in the city increased (a grain deficit arose, bread supplies were limited), etc.). The chaos caused by the occupation led to the migration of part of the population from the city, thus changing the demographic picture of the city to some extent.

By holding the so-called referendum, which was held illegally and in violation of the rules, the Ottomans tried to give a legal basis to their occupation, but within a few months, according to the Armistice of Mudros, they had to leave the city and the region, thus historical justice was restored.

Keywords: Batumi, Ottoman Empire, Brest-Litovsk Treaty, Ottoman administration, occupation, referendum.

ირაკლი ბარამიძე

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: erekle1770@hotmail.com,
ORCID: <https://orcid.org/0000-0001-7540-7006>

მარიამ ალექსანდრია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ისტორიის მაგისტრი
ელ-ფოსტა: mariam.aleksandria2000@gmail.com
ORCID: <https://orcid.org/0009-0007-4728-6789>

აბსტრაქტი. 1918 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ბათუმის პოლიტიკური მომავალი კიდევ ერთხელ დადგა საფრთხის ქვეშ. მილიტარისტული ზრახვების მადით აღძრულმა ოსმალეთმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა ის რთული საშინაო ვითარება, რაც რუსეთის იმპერიაში სუფევდა პირველი მსოფლიო ომის დასკვნით ეტაპზე. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით, რომელიც გაფორმდა ამიერკავკასიის მხრიდან მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე უარის თქმის პირობებში, ოსმალეთმა გზა გაიკაფა ბათუმის ოლქისკენ. ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენცია საქართველოსთვის იყო სიტუაციის ქვეყნის სასარგებლოდ შემობრუნებისა და ოსმალეთთან სამართლიანი ზავის გაფორმების ერთგვარი ასპარეზი, თუმცა ოსმალეთი მიზანმიმართულად მიიწევდა 1878 წლამდელი საზღვრების აღდგენისკენ და არავითარ კომპრომისზე არ მიდიოდა. იგი ძალმომრეობით და სამართლის ნორმების დარღვევით დაეპატრონა ქართულ ოლქებს (ყარსი, არტანუი, ბათუმი), რითაც დაარღვია

ბრესტის საზავო პირობებიც, რადგან ხელშეკრულება ხსენებული ოლქების მათთვის პირდაპირ გადაცემას არ ითვალისწინებდა.

1918 წლის აპრილში დაიწყო ბათუმის ოსმალური ოკუპაციის ხანა. ჩამოყალიბდა ოსმალური ადმინისტრაცია, რომელიც თავისი შინაარსით იყო უდისციპლინო და ტექნიკურად გაუმართავი. სახელმწიფო ხაზინა გადავიდა ოსმალთა ხელში. სახელმწიფო ენად გამოცხადდა ოსმალური, მიმოქცევაში შემოვიდა ოსმალური ლირა. ნავთობპროდუქტებზე დამყარდა მკაცრი კონტროლი. შეიზღუდა საქალაქო თვითმმართველობის უფლებები, ქუჩებს გადაერქვა სახელები. ქალაქში დამყარდა საპოლიციო რეჟიმი, კომენდანტის საათი, რამაც ერთგვარად უზრუნველყო ქალაქში წესრიგის შენარჩუნება.

სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით ქალაქი რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. ბათუმმა, ამ მსხვილმა სანავსადგურო ქალაქმა, დაკარგა თავისი ფუნქცია. ოკუპაციის პერიოდში დაეცა მაცხოვრებელთა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, მუშაობა შეწყვიტა ბათუმის პორტმა (მთავარმა ეკონომიკურმა არტერიამ), დაიხურა ფაბრიკა-ქარხნები, ქალაქში იმატა უმუშევრობის დონემ (შეიქმნა მარცვლეულის დეფიციტი, შეიზღუდა პურის მიწოდება და სხვ.). ოკუპაციის შედეგად მოწვეულმა ქაოსმა განაპირობა მოსახლეობის ნაწილის მიგრაცია ქალაქიდან, რითიც გარკვეულწილად შეიცვალა ქალაქის დემოგრაფიული სურათი.

ე. წ. რეფერენდუმის ჩატარებით, რომელიც არაკანონიერად და წესების დარღვევით მიმდინარეობდა, ოსმალეთი შეეცადა თავისი ოკუპაციისთვის სამართლებრივი საფუძველი მიეცა, თუმცა რამდენიმე თვეში, მუდროსის ზავის შესაბამისად, მას მოუწია ქალაქისა და ოლქის დატოვება, რითაც აღდგა ისტორიული სამართლიანობა.

საკვანძო სიტყვები: ბათუმი, ოსმალეთი, ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, ოსმალური ადმინისტრაცია, ოკუპაცია, რეფერენდუმი.

შესავალი. საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე, ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი კარიბჭე - ბათუმი და მთელი რეგიონი ოსმალთაგან მიტაცების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. პირველი მსოფლიო ომის დასკვნით ეტაპზე განვითარებულმა მოვლენებმა ასახვა ჰპოვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე. რევოლუციებით მოცული რუსეთის მსოფლიო ომიდან გამოთიშვამ, კავკასიის რეგიონში ოსმალური გავლენების გაძლიერებას შეუწყო ხელი. ბრესტ-ლიტოვსკის (1918 წლის 3 მარტი) საზავო ხელშეკრულების მე-4 პუნქტის თანახმად, არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქებიდან დაუყოვნებლივ უნდა გასულიყო რუსეთის ჯარი. რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო ამ ოლქების ახალ სახელმწიფო-სამართლებრივ და საერთაშორისო-სამართლებრივ ორგანიზაციაში და ოლქის მოსახლეობას უნდა მისცემოდა შესაძლებლობა დაემყარებინა ახალი

წყობილება მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან შეთანხმებით (სვანიძე, 2003:155). ეს იყო ერთა თვითგამორკვევის პრინციპით შენიღბული ოსმალური ანექსია.

სამწუხაროდ, საზავო მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე ამიერკავკასიის წარმომადგენლობის უარი პირდაპირ აისახებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევაზე. საზავო მოლაპარაკებაზე ქართული საკითხი გადაწყდა ქართული დელეგაციის მონაწილეობის გარეშე, რაც იყო ამიერკავკასიის მესვეურთა მხრიდან დაშვებული შეცდომა, გამომდინარე მათი პოლიტიკური მოუმწიფებლობიდან (გოცირიძე, 2009:162). ამიერკავკასიის ხელისუფლებას, ოსმალეთის მოწვევის მიუხედავად, დელეგაცია არ გაუგზავნია, რადგან რუსეთში ბოლშევიკური ხელისუფლების მოსვლას დროებით მოვლენად განიხილავდა და ზავიც, შესაბამისაც, დროებითად მიაჩნდა.

ამასობაში კი ოსმალეთი ცდილობდა ხელშეკრულების პირობების რეალიზებას რაც შეიძლება მალე. მართალია, პირობებით მას ხსენებული ოლქები პირდაპირ არ გადასცემია, მაგრამ იმ ნიადაგზე, რომ რუსეთს უწევდა ამ ტერიტორიების დაცლა, ადგილობრივებს კი ოსმალეთის შეთანხმებით უნდა ემოქმედათ, ოსმალეთს გზა ეხსნებოდა შემდგომი ექსპანსიური მიზნების განსახორციელებლად. კანადელი ისტორიკოსის ენდრიუ ანდერსენის საინტერესო შეფასებით, ბრესტ-ლიტოვსკის ზავი იყო – „ბოლშევიკების გულუხვი საჩუქარი ოტომანთა იმპერიისადმი“ (ანდერსენი, 2020:43).

ოსმალთა ინტერვენციის შეჩერება ამიერკავკასიის ხელისუფლებამ ტრაპიზონში გამართულ მოლაპარაკებებზე (1918 2ლის 14 მარტი - 5 აპრილი) სცადა, თუმცა, უშედეგოდ. ქართული დელეგაცია გამოთქვამდა მზაობას ოსმალეთისთვის დაეთმო გარკვეული ტერიტორიები, ბათუმს გარდა, მაგრამ მადააღმრულ მეზობლებს ეს არ აკმაყოფილებდა. 11 აპრილს მთავარსარდალმა ვეჰიბ ფაშამ, ბათუმის კომენდანტს, გენერალ გ. მდივანს 13 აპრილის შუა დღემდე ქალაქის დაცლა მოსთხოვა. ქართველებმა დამატებით ერთი დღე ითხოვეს, მაგრამ ოსმალთა მხარე ამას არ დათანხმდა და შეტევა განაახლა (ბარამიძე, 2016: 80).

გიორგი მაზნიაშვილი, რომელსაც ბათუმის აღებამდე 2 დღით ადრე დაევალა სამების ფორტის უსაფრთხოება, თავის მემუარებში დაუფარავად და მთელი სიცხადით აღწერს იმ დემოტივაციას, უდისციპლინობას, რაც ქართველ ჯარისკაცთა რიგებში იყო გავრცელებული. „ცხადი იყო ერთი, რომ ჯარისკაცს დავიწყებული ჰქონდა დისციპლინა, მოვალეობა და მხოლოდ თავისთავის გადარჩენაზე ჰფიქრობდა.“ – იგონებს გენერალი (მაზნიაშვილი, 1927:26). მისივე შეფასებით, თავად ქართულ მხედრობასაც არ ჰქონდა ნათლად გააზრებული ის საფრთხე, რაც ოსმალთა მიერ ბათუმის აღებას შეიძლებოდა მოეტანა. ირკვევა, რომ ბათუმის დამცველი რაზმები

ნაფრონტალი ჯარისკაცებისგან შედგებოდა, თუმცა ვერ გაეაზრებინათ ამ სამხედრო ოპერაციების სერიოზულობა და ოსმალეთის რეალური ზრახვები. სამხედროთა რიგებში არსებული ასეთი სიტუაცია, ბუნებრივია ასახვას ჰპოვებდა ბათუმის თავდაცვისუნარიანობაზე.

13 აპრილს უკვე ოსმალები ბათუმის მესამე ფრონტის ხაზს უტევენ. მალე კი ოსმალები იმდენად მოუახლოვდნენ ბათუმს, ფრონტი თანამედროვე ბონის ტერიტორიაზე გაჩაღდა, რამაც მოიტანა პანიკა და დემობილიზაცია. 14 აპრილს ოსმალებმა ბათუმი დაიკავეს და მოსახლეობას სიმშვიდის დაცვისკენ მოუწოდეს. ქუჩებში თურქული ჟანდარმერია გამოჩნდა. „ქალაქმა თითქმის ნორმალური სახე მიიღო, მხოლოდ ქუჩების კუთხეებში გროვად დაყრილი იარაღი, რომელიც „ასქერების“ დაცვის ქვეშ იყო, შეახსენებდნენ ომის შესახებ“ (მასლოვი, 2019:137). „... ოსმალეთი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაეუფლა ძალმომრეობით და თვითგამორკვევისათვის რეფერენდუმის გვერდის ავლით, რითაც უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები და თვით ბრესტის ხელშეკრულება“ (სიორიძე, 2002:2015).

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: საკითხის შესწავლისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია მელნიკოვის - „Турецкая оккупация Аджарии (1943 г.). მიუხედავად მისი სუბიექტური ხასიათისა (ავტორი ბოლშევიკური ფრთის ერთგული წარმომადგენელია), იგი გარკვეული სიზუსტით გადმოგვცემს ოკუპაციის დროინდელი ბათუმის ყოფა-ცხოვრებას და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ამ მოკლე პერიოდის შესახებ გარკვეული წარმოდგენის შექმნის კუთხით. ავტორი გვერდს უვლის იმ პოლიტიკური პროცესების სიღრმისეულად განხილვას რაც ოკუპაციას ახლდა თან. მაგალითად, ის არაფერს ამბობს ბათუმის საზავო კონფერენციის შესახებ, ან ოსმალების მიერ რეგიონში ჩატარებულ „რეფერენდუმზე“. თუმცა, ამის მიუხედავად, მემუარები ოკუპაციის ისტორიის ფურცლებს ახალი და საინტერესო დეტალებით ავსებს. ჩანაწერები შესრულებულია 1943 წელს და ინახება აჭარის ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის რუსულ ხელნაწერთა ფონდში, ორიგინალი ხელნაწერის სახით. აღნიშნული მასალა, საკმაოდ ვრცლად, გამოყენებული აქვს ფრანგ მეცნიერს, ეტიენ პეირატს, ნაშრომში - *The Ottoman Occupation of Batumi, 1918: a view from below.*

აღსანიშნავია, ასევე, პრილიდიან მასლოვის მოგონებები - „ბათუმი 1917-1920 წლებში“, რომელიც ინახება აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. იგი ითარგმნა და გამოიცა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ (რედ. ი. ბარამიძე). მასლოვი ბათუმში 1906 წლიდან ცხოვრობდა. ოსმალთა შემოსევის პერიოდში დანიშნული იყო რუსული ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელად. მართალია, ავტორი მიკერძოებულია და პარტიული (თეთრგვარდიელთა) ინტერესებით

ხელმძღვანელობს, აშკარად შოვინისტური სულისკვეთებით აფასებს მოვლენებს, მაგრამ მაინც, მისი ვრცელი მემუარები 1918 წლის ბათუმის ოკუპაციის ისტორიისთვის საინტერესო და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

სამეცნიერო შრომებიდან გამოსაყოფია მ. სიორიდის „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-18 წლებში (სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება)“; მ. სვანიძის „დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918-1921“; უ. ოქროპირიდის „აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან“; ლ. სარალიძის „ბათუმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში 1918-1921“ და სხვ. მემუარებიდან აღსანიშნავია გიორგი მაზნიაშვილის “მოგონებანი 1917-18“, რომელიც მთელი სიცხადით აღგვიწერს ბათუმის აღების დეტალებს.

უცხოენოვანი ლიტერატურიდან აღსანიშნავია თანამედროვე თურქი მკვლევრების შრომები. მაგალითად, ე. შაჰინის „1918 Elviye-i Selâse Plebisiti Sirasinda Türk-Gürcü Münasebetleri“; მუსტაფა სარის „Batum'da Son Türk İdaresi (1921)“. დასავლელი ავტორებიდან საყურადღებოა ენდრი ანდერსენის „საქართველო და საერთაშორისო შეთანხმებები 1918-21 წლებში“, ეტიენ პეირათის „The Ottoman occupation of Batumi, 1918: a view from Below“ და სხვ.

მეთოდოლოგია: ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ საისტორიო მეცნიერებაში ცნობილი და აპრობირებული მეთოდოლოგია: აღწერილობითი, ისტორიულ-შედარებითი, საისტორიო წყაროების კრიტიკული შეფასების, მათი შეპირისპირებითი ანალიზის, ასევე, რეტროსპექტული და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის მეთოდები. მეთოდების საჭიროება განისაზღვრება კვლევის სპეციფიკით - კვლევა იწარმოება როგორც საისტორიო ლიტერატურაზე (ქართული, თურქული, ევროპული), ისე ჩვენს ხელთ არსებულ საარქივო მასალაზე დაყრდნობით.

დისკუსია/შედეგები: ოსმალთა ოკუპაციით ბათუმის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ერა, რაც გულისხმობდა ქალაქსა და რეგიონში ოსმალური წეს-წყობილების და მმართველობის სისტემის დანერგვას. თავდაპირველად ოსმალებმა მოსახლეობას წესრიგისა და სიმშვიდის დაცვისკენ მოუწოდეს, დამრღვევებს კი მკაცრი სასჯელი ელოდათ. ოსმალებმა დაიწყეს, ასევე, განიარაღების პროცესი. ეს მიმართვა ჯერ ოსმალურ ენაზე გამოიცა, შემდეგ კი ქართულ და რუსულ ენებზე. ბათუმში დამყარდა საპოლიციო რეჟიმი, მკაცრად კონტროლდებოდა ქუჩები. ბათუმის აღების მესამე დღეს (16 აპრილი), მთავარსარდალმა ვეჰიბ ფაშამ, სამხედრო გუბერნატორად დანიშნა

ჰამიდ ბეი³⁶, რომელსაც უსაფრთხოების და სიმშვიდის უზრუნველყოფა დაევალა (ბარამიძე, 2016:83). იგი ენერგიულად შეუდგა არსებული მმართველობითი სისტემის ოსმალურ ყაიდაზე გადაყვანას. ჰამიდ ბეიმ წესრიგის უზრუნველსაყოფად დააწესა კომენდანტის საათი (ღამის 11-დან, დილის 5 საათამდე). ეს წესი მოქმედი იყო აგვისტომდე. კომენდანტის საათში გამონაკლისი და შეღავათები მოქმედებდა ეროვნებით რუსი მოსახლეობისადმი, სხვა დანარჩენის მიმართ კი, მკაცრად იცავდნენ წესებს, აკავებდნენ და თანხასაც აკისრებდნენ ხოლმე (მასლოვი, 2018:137). მათი რეჟიმის დროს საგრძნობლად იკლო ქურდობა-ყაჩაღობის შემთხვევებმა, ქალაქში სრული სიწყნარე და უსაფრთხოება სუფევდა. ოსმალებმა შემოიღეს საინტერესო დასჯის ფორმები, რომლებიც დამნაშავეს გასამართლების ერთგვარ სახეს წარმოადგენდა. ოსმალების მიერ შემოღებული სამართლის ნორმები, იყო ოკუპაციამდელი სასტიკი სისტემისგან განსხვავებული, მაგრამ ასევე მკაცრი. თუმცა, დამნაშავეს უფრო ჭკუას ასწავლიდა, ვიდრე დიდად ასახიჩრებდა ან აზიანებდა მას. ხშირი იყო გამოძიებისა და გასამართლების გარეშე სახალხო გაროზგვა, ოსმალურად, იგივე „ზოფა“. ისინი (დამნაშავეებს) უბრძანებდნენ დაწოლილიყვნენ იატაკზე და სცემდნენ დიდი ჯოხით. დარტყმის რიცხვი ყოველთვის იყო მკაცრად რეგლამენტირებული და დანაშაულის შესაბამისი. ყველაზე გავრცელებული იყო 31 დარტყმა (მელნიკოვი, 1943).

აჭარაში შემოსული ოსმალო ასქერები ხასიათდებოდნენ თავშეკავებულობით. მათ დაიწყეს მოსახლეობასთან ზომიერი ურთიერთობების დამყარება, იყვნენ გაწონასწორებულნი და არ იჩენდნენ უხეშობას (მელნიკოვი, 1943; Peyrat, 2016:8).

ბათუმში ოსმალეთის ჯარის შემოსვლას დიდი ეიფორიით შეხვდა თურქული პრესა. ბათუმში თავი მოიყარეს ცნობილმა პოლიტიკოსებმა, საზოგადო მოღვაწეებმა და ინტელექტუალებმა. დაპყრობიდან რამდენიმე დღის შემდეგ თავად ენვერ ფაშამ დაიწყო ტრიუმფალური ტური შავი ზღვის სანაპიროზე, ეწვია ტრაპიზონსა და ბათუმს, სადაც მან გამოაცხადა ყარს-არტან-ბათუმის განთავისუფლება. აღნიშნულ რეგიონებს და ბათუმს ჰქონდა როგორც პრაქტიკული, ისე პოლიტიკური მნიშვნელობა. ოსმალეთის სტრუქტურებს და პირადად სულთანს კონტროლზე ჰქონდათ აყვანილი მათი მომარაგება საკვებით თუ სხვა საჭიროებებით (Etienne, 2016 :169). ქალაქის თვითმმართველობის სხდომაზე ენვერ ფაშამ ბათუმელებს მიულოცა ქალაქის დედასამშობლო - თურქეთთან დაბრუნება: „ბათუმი და ბათუმის ოლქი უბრუნდება დედასამშობლოს“ - განაცხადა მან (სდსინ, 2008:

³⁶ ჰამიდ ბეის მმართველობამ სამი კვირა გასტანა. იგი შეცვალა კონსტანტინოპოლიდან დანიშნულმა პირმა, მეჰმედ ჯემილ ბეიმ (მასლოვი, 2018:168).

436). ეს ოსმალთა მხრიდან პირველი პოლიტიკური განცხადება იყო, რეგიონის ოკუპაციის შემდგომ.

ოსმალები ცდილობდნენ ზედმიწევნით დაეცვათ ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის ნორმები. ამიტომაც მათ შეინარჩუნეს გარდამავალი სისტემები პერსონალურ (ომის საბოლოო დასრულებამდე, რეგიონის მოსახლეობა ინარჩუნებდა რუსეთის მოქალაქეობას), მიწის საკუთრებისა და სამართლის სფეროებში. რეგიონის ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით, მეჯლისის გადაწყვეტილებით, შეიქმნა კომიტეტი შინაგან საქმეთა მინისტრ ისმაილის, იუსტიციის მინისტრ ჰალილის და განათლების მინისტრ ნაზიმის შემადგენლობით (Gül, 1995: 377). ასევე, გაიგზავნა სპეციალური დელეგაცია ოსმალეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირის აბდულჰალიქ ბეის ხელმძღვანელობით რეგიონის დასათვალისწინებლად და მისი რეინტეგრაციის ორგანიზაციული პრინციპების შესახებ მოხსენების მოსამზადებლად (Etienne, 2016 :169).

ყარს-არტაან-ბათუმში დამკვიდრების შემდეგ, ოსმალეთის ხელისუფლება შეუდგა მათზე იმპერიული კანონმდებლობის გავრცელებას. მაგალითად, ფინანსთა მინისტრის 21 მაისის ბრძანებით, აღნიშნულ რეგიონში საბაჟო სტრუქტურებში დასაქმებულ სახელწიფო მოხელეებს უნდა ესარგებლათ 1 აპრილს მიღებული შესაბამისი კანონით. ოსმალეთის ხელისუფლება ითვალისწინებდა იმას, რომ მიერთებულ რეგიონებში გაგზავნილი სახელმწიფო მოხელეები უზრუნველყოფილიყვნენ არამარტო ხელფასით (რომელიც 3-4-ჯერ აღემატებოდა დღიურ ნორმას), არამედ ცხოვრებისთვის საჭირო ნივთებით (Gül, 1995: 374-376).

ოსმალთა პირველი ნაბიჯი სახელმწიფო ქონების აღრიცხვა გახლდათ. კონტროლზე აიყვანეს და აღწერეს ნავთობის მარაგი (კერძო, თუ სახაზინო), აიკრძალა მათი გაყიდვა-გატანა. ოსმალებისთვის, რომლებიც საწვავის დეფიციტს განიცდიდნენ, ნავთობის მარაგს დიდი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა (მასლოვი, 2018:135; ზოსიძე, 1995: 37).

ოსმალებმა საქმისწარმოება შემოიღეს ოსმალურ ენაზე. ოსმალური გახდა ოფიციალური ენა ოკუპირებულ ბათუმში. ასევე, დაინერგა ისლამური კალენდრის სისტემა. მისვლა-მოსვლისთვის საჭირო იყო სპეციალური საშვის ქონა. შეიცვალა ქალაქის იერსახე, ქალაქის ქუჩების ქართული დასახელებები შეიცვალა ოსმალურით (მაგ. პეტროგრადის პროსპექტი იწოდა - კონსტანტინეპოლის, მარინეს - სულთან სელიმის პროსპექტად, გრიბოედოვის ქუჩა - ართვინის, პუშკინის - არდაჰანის და ა.შ. (ზოსიძე, 1995:58; Peyrat,2016:3).

ოსმალები ცდილობდნენ ჩარეულიყვნენ ქალაქის ცხოვრებაში და შეეტანათ გარკვეული კორექტივები. მოხდა სათათბიროს რეორგანიზაციაც (შეცვალეს ხმოსნები). სათათბირო დაკომპლექტდა თანაბარი

წარმომადგენლობის უფლებით, განურჩევლად ეროვნებისა. ქალაქის თავად აირჩიეს ქართველი, გვარად ჯავახოვი.

საინტერესოა საქმისწარმოების საკითხი ოკუპირებულ ბათუმში. ეს პროცესი გამარტივდა, განსხვავებით ცარისტული რეჟიმისგან, რომლის დროსაც საქმისწარმოება ერთობ რთულ, ხანგრძლივ და მკაცრად კონტროლირებად პროცესს წარმოადგენდა. ოსმალურ ოკუპაციაში იგი პრიმიტიულ დონემდე დავიდა. გამარტივდა ხელისუფლების და მოსახლეობის ურთიერთობის ფორმები. საქმისწარმოება აღარ ითხოვდა რთული საკანცელარიო ოპერაციების შესრულებას. საკითხთა უმეტესობა წყდებოდა არა ოფიციალური დოკუმენტების გამოცემით, თუ ხელმოწერით, არამედ, მარტივად, სიტყვიერი კომენტარით, თარჯიმნის დახმარებით (მელნიკოვი, 1943; Peyrat, 2016:7). თუმცა ამ პროცესში დიდი ადგილი ეჭირა „ბაქშიშს“ (ქრთამი), რაც იყო თურქული მმართველობის მეთოდების ალფა და ომეგა. სხვადასხვა ადმინისტრაციული ოპერაციების დროულად შესრულების სანაცვლოდ, თურქ მოხელეებს შორის აქტიური ყოფილა ქრთამის, ერთგვარი საჩუქრის აღების პრაქტიკა.

სხვადასხვა ადმინისტრაციულ ღონისძიებებთან ერთად, ოსმალების დღის წესრიგში იდგა ფულადი მიმოქცევის სისტემის საკითხი. საოკუპაციო ხელისუფლებამ ეს პრობლემა გადაჭრა ისე, რომ მოსახლეობის მატერიალურ ინტერესებს ზიანი არ მიდგომოდა. კერძოდ, ბათუმში, მიმოქცევაში ჩაეშვა ოსმალური ლირები (1 ლირა უდრიდა 16 მანეთს). ლირის კურსი იყო უცვლელი და მყარი. რეფორმამ გამოიწვია ფასების ურყეობა და სტაბილურობა. საგულისხმოა რომ, ბათუმში, ერთ პერიოდში, შეიქმნა წვრილი კუპიურების დეფიციტი, რაც ქმნიდა პრობლემას ვაჭრობის დროს ნაღდი ანგარიშსწორების საქმეში. საკითხი მარტივად გადაიჭრა. გატარდა კვლავ ფინანსური რეფორმა: ქალაქის კუპიურები შუაზე გაჭრეს, საბანკო ნიშნები გაუკეთეს და მიმოქცევაში ჩაუშვეს. ეს ნახევრები ისეთივე ძალის მქონე იყო, როგორც მთლიანი კუპიურები (მელნიკოვი, 1943).

ოკუპაციის თვეებში ბათუმის პორტი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამიერკავკასიის (და არა მარტო) ეკონომიკურ ცხოვრებაში, უმოქმედო გახდა. მისი საქმიანობა, ურთიერთობა უცხოურ და რუსულ პორტებთან დავიდა უმნიშვნელო ნიშნულამდე. პორტი და მასთან ერთად რკინიგზა, გამოიყენებოდა მხოლოდ სამხედრო მიზნებისთვის და სურსათის გადასაზიდად. პორტმა, რომელიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბათუმის ეკონომიკის მთავარ არტერიას წარმოადგენდა, ფუნქცია დაკარგა. „თურქების მიერ ბათუმის დაკავებამ თითქმის მოწყვიტა ქალაქი დანარჩენ სამყაროს. პორტი დაცარიელდა; მასში შემოდდიოდნენ მხოლოდ თურქული

ფელიუკები³⁷ ანატოლიის სანაპიროდან და იშვიათად გემები კონსტანტინოპოლიდან“ (მასლოვი, 2018:161).

პორტის დაქვეითებამ გააუარესა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, აქ მომუშავეებმა დაკარგეს სამსახური. ასევე, დაქვეითდა მრეწველობა და ვაჭრობა, რადგან მათი მუშაობა პირდაპირ დამოკიდებულებაში იყო პორტის ფუნქციონირებასთან.

ბათუმში მწვავედ იდგა სურსათის, უფრო ზუსტად, პურის საკითხი. ფქვილი ძალზე ცოტა იყო. ბათუმი კი ყოველთვის ჩამოტანილი პურით ცხოვრობდა; ოლქის მოსახლეობას მხოლოდ სიმინდი მოყავდა. ბათუმში, თურქების ყოფნის მთელი დროის განმავლობაში, მოსახლეობას მიეწოდებოდა ბარათებით მხოლოდ ცუდი ხარისხის რუხი პური, ხშირად ნახევრად სიმინდის ფქვილისგან (მასლოვი, 2018:162). მოსახლეობას ქერი და ჭვავი არტაანიდან და შავშეთიდან შემოჰქონდათ (ახვლედიანი, 1971: 52).

ოსმალთა საოკუპაციო რეჟიმის დამყარებას მოჰყვა მიგრაციული პროცესები, რამაც ასახვა ჰპოვა ბათუმის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. ერთი ცნობით, დაახლოებით 20 ათასმა მოსახლემ ქალაქი დატოვა (Şahin, 2020: 202). საინტერესოა, რომ ბათუმში ოკუპაციამდე მრავლად ცხოვრობდნენ სომხები, თუმცა, ოსმალური ოკუპაციის დამყარების შემდეგ, მათ უმეტესობას მოუწია ქალაქის დატოვება. „ბათუმიდან მაშინ გაემგზავრა ბევრი სომხური ოჯახი, ვაჭრები, მრეწველები, ხელოსნები, ინტელიგენტები. ბათუმში დარჩა მხოლოდ ღარიბი სომხები, როლებიც ცხოვრობდნენ ყოველდღიური შრომით, რომლებსაც არ ჰქონდათ გამგზავრების საშუალება“ (მელნიკოვი, 1943).

ოსმალებს არ გამოუჩენიათ დიდი ყურადღება ქალაქის სანიტარული პრობლემების მიმართ. მოსახლეობის მიერ მიტოვებული, უპატრონოდ დარჩენილი შენობები, ეზოები, საშინელ ნაგვის კერებს წარმოადგენდნენ იმატა მღრღნელების, მავნებელი მწერების რიცხვმა, რომელთანაც შებრძოლება მოსახლეობის ახალ გამოწვევად იქცა. იმ ხანად ოსმალებში გავრცელდა ქოლერის ეპიდემია, ამიტომ დამყარდა მკაცრი კონტროლი პორტში შემომავალ და გამავალ გემებზე. მგზავრები გადიოდნენ სამედიცინო შემოწმებას, მგზავრებს უნდა ჰქონოდათ აცრის დამადასტურებელი საბუთი და ა.შ. მკაცრი კონტროლის და ზომების მიუხედავად, ბათუმში ქოლერამ მაინც შემოაღწია და მცირედი მსხვერპლიც გამოიწვია (სარალიძე, 2023:293).

ბათუმში ოფიციალურად დამკვიდრდა ოსმალური ენა. ამის მიუხედავად, გამოიყენებდა რუსულიც. შეხვდებოდით რუსულ ენაზე შესრულებულ განცხადებებს, ბრძანებებს, აფიშებს და ა.შ. ასევე, დაშვებული

³⁷ ფელიუკა - მომცრო იალქნიანი გემი. ფელუკად იწოდებოდა ლაზური ნავი, აღჭურვილი ნიჩბებით და აფრებითაც

იყო ფრანგული ენაც, რომელსაც თურქი სამხედროები კარგ დონეზე ფლობდნენ. ვერ ვიტყვით, რომ სხვა ენები იდევენბოდა, მოსახლეობის სიჭრელის შესაბამისად ქუჩებში გაისმოდა, სომხური, ბერძნული, ქართული და სხვა ენები (მელნიკოვი, 1943; სარალიძე, 2009).

სკოლებში სავალდებულო გახდა ოსმალურ ენაზე სწავლა. კერძო სკოლების დაშვებას, მხოლოდ იმ პირობით თანხმდებოდნენ, რომ ოსმალური ენა იქნებოდა სავალდებულო. 1918 წ. აგვისტოში ოსმალთა გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება, რომელშიც ქ. ბათუმის ქართველ, რუს, ბერძენ, ებრაელ მოსახლეობას და ქართველ მუსლიმანებს მხოლოდ თითო დაწყებითი სასწავლებლის გახსნას ჰპირდებოდა, სადაც თურქული ენის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა (სდსინ, 2008:439).

კულტურული ცხოვრება სრულიად ჩაკვდა ოკუპაციის თვეებში. ბათუმის თეატრი უფუნქციო ხდებოდა, სპექტაკლები იშვიათად იმართებოდა, ისიც სრულიად პრიმიტიული სცენარით, რომელშიც მოყვარულები და უმუშევრად დარჩენილი მსახიობები თამაშობდნენ. კინოებში ძველ ფილმებს უჩვენებდნენ, ხანდახან თუ შემთხვევით შემოტანილი ახალი ფილმის ჩვენება გაიმართებოდა. მთავარი თავშეყრის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის, სიახლეების გაზიარების კერად ყავახანები იქცა. თამაშობდნენ სხვადასხვა აზარტულ თამაშებს (ნარდი, დომინო და ა.შ). დაიხურა ადგილობრივი გაზეთები, დამყარდა მკაცრი ცენზურა და კონტროლი ამ კუთხით.

1918 წლის 14 ივლისიდან ოსმალეთმა დაიწყო ე. წ. რეფერენდუმის ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობის თვითგამორკვევის საფუძველზე მათი პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრას. რეფერენდუმს ითვალისწინებდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მე-4 მუხლი. თუმცა, ოსმალეთმა ამ უფლებით ბოროტად ისარგებლა, ის წესების დარღვევით ჩაატარა (ზავის თანახმად რეფერენდუმი უნდა ჩატარებულიყო მეზობელ სახელმწიფოსთან შეთანხმებით, ეს დებულება კი ოსმალეთმა უგულვებელ ყვეს (ოქროპირიძე, 2014:159). ოსმალეთმა რეფერენდუმი გამოიყენა როგორც ერთგვარი საშუალება, ქართული ოლქების იურიდიულად დაკანონების საკითხში. ეს რეფერენდუმი ოსმალეთისთვის იყო შანსი, ქართული ოლქების ოკუპაცია შეეფუთა სამართლებრივად და ხალხის არჩევანის სახე მიეცა მისთვის.

რეფერენდუმი წარიმართა მკაცრი კონტროლის და ფსიქოლოგიური ზეწოლის ფონზე: ამომრჩევლებს დაურიგდათ ორი სხვადასხვა ფერის ბიულეტენი (თეთრი - ოსმალეთის, ლურჯი - საქართველოსთან შეერთების გამომხატველი იყო). რეფერენდუმი გაიმართა ღია კენჭისყრის პრინციპით. იგი მიმდინარეობდა ოსმალთა ჯარისკაცების მკაცრი დაკვირვების ქვეშ, რაც ასახვას ჰპოვებდა ამომრჩევლის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღეს ბათუმში დროებით მცხოვრებმა ელემენტებმაც (სიორიძე, 2002: 259-60).

ასეთ პირობებში, შედეგიც შესაბამისი დადგა, რაც, რა თქმა უნდა, არ იყო რეალური და საერთოდ არ ემყარებოდა ზემოთ აღნიშნულ თვითგამორკვევის პრინციპს, რადგან რეფერენდუმი ჩატარდა საოკუპაციო რეჟიმში, ხიმტების და ზეწოლის ფონზე.

საქართველოს მთავრობამ მალევე (1 აგვისტოს) გააგზავნა საპროტესტო ნოტა ოსმალეთის მიმართულებით, რომელსაც ხელს აწერდა რესპუბლიკური საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გვარჯალაძე. მასში აღნიშნული იყო ყველა დარღვევა, რომლითაც ოსმალეთმა ჩაატარა რეფერენდუმი. პროტესტი რეფერენდუმის არაკანონიერებაზე ევროპის ყურამდეც მივიდა. სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა ბერლინში გაგზავნა თავისი წევრი. ევროპის საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ამ დარღვევის შესახებ, რასაც მათ მხრიდან, ასევე, პროტესტი მოჰყვა.

გერმანიამ დაგმო ოსმალური რეფერენდუმი, მიიჩნია ის არალეგალურად და გაუგზავნა გაფრთხილება ოსმალეთს, რომ მან დაარღვია ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები, აწარმოა რეფერენდუმი მეზობელ სახელმწიფოსთან შეუთანხმებლად. ასევე, საბჭოთა რუსეთმა გაგზავნა საპროტესტო ნოტა ოსმალეთის მიმართულებით. ამის მიუხედავად, 1918 წლის 15 აგვისტოს სულთან მეჰმედ VI-ის მერ გამოცემული „ჰატი ჰუმაიუნით“ ყარს-არტაან-ბათუმი ოსმალეთთან შეერთებულად გამოცხადდა. ოსმალეთის მეჯლისის 1918 წლის 11 სექტემბრის განკარგულებით, ბათუმი, ყარსი და არტაანი ფორმირდა ბათუმისა და ყარსის ლივა/სანჯაყებად და გაერთიანდა ბათუმის ვილაეთში. ბათუმის სანჯაყში შედიოდა: ორთაბათუმი, ჩურუქ-სუ, ბორჩხა, მარადიდი, ქვემო აჭარა, ზემო აჭარა, ართვინი, არტანუჯი, შავშეთი და ოცდათხუთმეტი ნაჰიე (სასოფლო თემი) (Gül, 1995: 373; Dayı, 2006:95-96).

ოსმალთა საოკუპაციო რეჟიმმა ბათუმში დიდხანს ვერ გასტანა. შემოდგომიდან უკვე თავი იჩინა რეჟიმის რღვევის ნიშნებმა. ოსმალეთის იმპერიისთვის ცხადი გახდა, რომ ოთხთა კავშირის სახელმწიფოებს ომის მოგების შანსი არ ჰქონდათ, ამიტომ ერთადერთი, რჩებოდა ომიდან გამოსვლა და ზავის დადება. ოსმალთა მოხელეთა განწყობაზე ნათლად აისახებოდა ფრონტებზე განცდილი წარუმატებლობანი, ჩანდა რომ ოკუპაციის დასასრული ახლოს იყო.

მართლაც, პირველი მსოფლიო ომი დასრულდა გერმანიის ბლოკის დამარცხებით. 1918 წლის 30 ოქტომბერს, კუნძულ ლემნოსის პორტ მუდროსში, ინგლისურ გემ „აგამემნონზე“ დამარცხებულმა ოსმალეთის იმპერიამ გამოაცხადა კაპიტულაცია და ხელი მოაწერა ხელშეკრულებას („მუდროსის ზავი“) ანტანტის ქვეყნებთან (ბერიძე, 2020:32, სარალიძე,

2023:146). ოსმალეთს უწევდა მის მიერ დაკავებული ოლქების (ბათუმი, ყარსი, არტანუჯი, ახალციხე, ახალქალაქის) დატოვება. ოსმალეთის პოზიციები ამიერკავკასიაში შეირყა და რეგიონი ბრიტანეთის გავლენის სფეროდ გამოცხადდა. მოკავშირეთა ჯარებს მიეცათ სრული უფლება კონტროლი დაემყარებინათ აღნიშნულ რეგიონზე. ბათუმი, რომელიც 1918 წლის 24 დეკემბერს ინგლისელებმა დაიკავეს, 1919 წლის 23 იანვარს თურქულმა ძალებმა მთლიანად დატოვეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ანდერსენი, 2020:** - ანდერსენი ე., საქართველო და საერთაშორისო შეთანხმებები 1918-21 წლებში, მწიგნობარი, 2020.
2. **ახვლედიანი, 1971:** - ახვლედიანი ხ., საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში (1917-1921 წწ.), ბათუმი, 1971.
3. **ბარამიძე, 2016:** - ბარამიძე ი., ოსმალთა მიერ ბათუმის ოკუპაცია 1918 წელს, კრებ.: ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა, VII, ბათუმი, 2016.
4. **ბერიძე, 2020:** - ბერიძე ჯ., საქართველო-თურქეთის ურთიერთობები (სოციალ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ასპექტები), ბათუმი, 2020.
5. **გოცირიძე, 2009:** - გოცირიძე გ., პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, თბილისი.
6. **ზოსიძე, 1995:** - ზოსიძე ნ., პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათუმი, 2009.
7. **მაზნიაშვილი, 1927:** - მაზნიაშვილი გ., მოგონებანი 1917-18, ტფილისი, 1927.
8. **მასლოვი, 2018:** - მასლოვი პ., ბათუმი 1917-20 წლებში (მოგონებები), ბათუმი, 2018.
9. **მელნიკოვი, 1943:** - მელნიკოვი, თურქეთის მიერ აჭარის ოკუპაცია (რუსულ ენაზე), 1943, ხ. ახვლედიანის სახელობის მუზეუმის რუსულ ხელნაწერთა ფონდის საქმე №394.
10. **ოქროპირიძე, 2011:** - ოქროპირიძე უ., აჭარის ავტონომიის შექმნა, თბილისი, 2011.
11. **ოქროპირიძე, 2014:** - ოქროპირიძე უ., ოსმალების მიერ ბათუმის ოლქში ჩატარებული „რეფერენდუმის“ ზოგიერთი უცნობი დეტალი, კრებული.: ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა, V, ბათუმი, 2014.
12. **სდსინ, 2008:** - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა III, ბათუმი, 2008.
13. **სარალიძე, 2023:** - სარალიძე ლ., ბათუმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921), თბილისი, 2023.
14. **სარალიძე, 2009:** - სარალიძე ლ., ოსმალთა ოკუპაციის პერიოდის ბათუმის ისტორიიდან (1918 წ.), კრებული.: ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა, I, ბათუმი, 2009.

15. **სვანიძე, 2003:** - სვანიძე მ., დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისთვის 1918-21 წლებში, ქართული დიპლომატია, (წელიწდეული), თბილისი, 2003.
16. **სიორიძე, 2011:** - სიორიძე მ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან I, თბილისი, 2011.
17. **Dayı, 2006:** - Dayı Esin Derinsu, Milli Mücadele Döneminde Elviye-i Selâse ve Nahçıvan, Atatürk Araştırma Merkezi Dergisi, XXII, № 64-65-66, ოქტომბერი, გვ. 91-118.
18. **Gül, 1995:** - Gül Mustafa, Elvîye-I Selâse'nin Osmanlı Devleti'ne İadesi ve Bazı Uygulamalar, Atatürk Yolu Dergisi, Cilt: 4, Sayı: 15, გვ. 367-380.
19. **Peyrat, 2016:** - Peyrat Etienne, The Ottoman Occupation of Batumi, 1918: a view from below. Caucasus Survey, 4 (2), pp.165 - 182.
20. **Şahin, 2020:** - Şahin E., 1918 Elviye-i Selâse Plebisiti Sirasında Türk-Gürcü Münasebetleri, ახალ და უახლეს პერიოდში ქართულ თურქული ურთიერთობები, ტრაპიზონი, გვ. 180-224.